პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 69 (19810) კვირა, 22 მარტი, 1987 წელი. ◆ ფასი 8 კაპ.

გვიხმობს შაბათობა

თაოსნობას მხარი დაუჭირეს

ცხინვალის ხე-ტყის კომბინატის კოლექტივმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი მოსკოველთა პატრიოტულ თაოსნობას — მოაწყონ 18 აპრილს ვ. ი. ლენინის დაბადების 117 წლისთავისადმი მიძღვნილი შაბათობა.

საწარმოს მშრომელებმა გადაწყვიტეს ამ დღეს გამოუშვან 30 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, მისი მნიშვნელოვანი ნაწილი დაამზადონ დაზოგილი ნედლეულითა და ელექტროენერგიით, მეთორმეტე ხუთწლედის ფონდში კი გადარიცხონ 2.500 მანეთი.

„წითელი შაბათობის“ დღეს კომბინატის მოწინავე ბრიგადები, რომლებსაც ზაირა კოზაევა, თენგიზ გაბარაევი, ინალ ელიზაროვი ხელმძღვანელობენ, უმაღლესი ნაყოფიერებით იმუშავებენ.

საწარმოს ტერიტორიის კეთილმოსაწყობად გამოვა 150 კაცი.

დაზოგილი ელექტროენერგიით

ზესტაფონელი მეტალურგებისათვის შაბათობა შეაღამის შემდეგ დაიწყება. უკვე განთიადისათვის საწარმოს ზეგეგმით ყულაბაში მისი მშრომელები გადარიცხავენ ფეროშენადნობთა პირველ ზეგეგმით ტონებს. საერთოდ კი შაბათობის დღეს რამდენიმე ათეული ტონა პროდუქცია დამზადდება. ამ რაოდენობიანი თითქმის ნახევრის დამზადებას ისინი აპირებენ წლის დაზოგილ ელექტროენერგიით. წარჩინებული მენობელის, ქვეყნის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ვახტანგ არაბიძის თაოსნობით შაბათობის დღე გახდება შრომის საგნობრივი გაკვეთილი ქარხნის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეთათვის. მუშათა ცვლის წარმომადგენლები გამოცდილ დამრიგებლებთან ერთად გამოუშვებენ რამდენიმე ჩქაროსნულ ნაწნობს.

18 აპრილს მშენებლებმა და მემონტაჟეებმა, რომლებიც ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის რეკონსტრუქციისა და ტექნიკურ განახლებაზე მუშაობენ, ვალდებულება იკისრეს ერთ-ნაბიჯარჯერ გადააჭარბონ დღიურ დავალებას.

სახმილებას სტაბილურობა მივანიჭოთ

საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში აღნიშნულია, რომ ოქტომბრის იდეალები მოგვიწოდებს ვიშრომოთ საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისა და სამშობლოს აყვავებისათვის, სოციალიზმისა და მშვიდობისათვის, გავაერთიანოთ ჩვენი ძალა, ჩვენი ნება, ჩვენი ენერგია, ეს უძლეველი ძალა მოვახმაროთ ჩვენ წინაშე წამოჭრილი ახალი ამოცანების გადაწყვეტას.

ეკონომიკაში, და კერძოდ მრეწველობაში ჩვენ წინაშე დასახული ამოცანებიდან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია პროდუქციის ხარისხის ძირეული გაუმჯობესება, პროდუქციის სახელმწიფო მიღებაზე ასპროცენტიანი გადასვლა და მასთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევა. ეს მითითებულია აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავისათვის მზადების შესახებ“.

რა მდგომარეობაა ახლა სახმილებაზე გადასულ საწარმოებში? სიძნელეთა დაძლევით, საკმაოდ დიდი დაბრკოლებების გადალახვით ზოგიერთმა საწარმომ იანვარ-თებერვალში გარკვეულ დადებითს შედეგებს მიაღწია. უკან დარჩა ახალ პირობებში მუშაობის მზადებასთან დაკავშირებული მოულოდნელობანი, ემოციები, გაურკვეველი სიტუაციები, უკვე ბევრი რამ დაზუსტდა, ჩამოყალიბდა, ჩადგა თავის კალაპოტში, მაგრამ საერთო დაძაბულობა არ მოხსნილა. ნაკლოვანებები კვლავ უამრავია და მათი აღმოფხვრა ძალების მაქსიმალურ დაძაბვას, პასუხისმგებლობის შემდგომ გაძლიერებას მოითხოვს. ყველაფერი ეს აღინიშნა კიდევ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამეურნეო მექანიზმის სრულყოფისა და მეურნეობრიობის ახალ სისტემაზე საწარმოთა გადაყვანის საკოორდინაციო საბჭოს ამასწინანდელ სხდომაზე.

ოებერვალში სახმილებაზე გადასულ რესპუბლიკის საწარმოებს არასაუწყვნო კონტროლისათვის 85269 ათასი მანეთის პროდუქცია უნდა წარედგინათ. უკეთესობისგან ამ მაჩვენებელმა 81172 ათასი მანეთი, ანუ 95,1 პროცენტი შეადგინა. მიღებულია წარმოდგენილი პროდუქციის მხოლოდ 94,7 პროცენტი. აღსანიშნავია, რომ გეგმით თებერვალში იანვართან შედარებით არასაუწყვნო კონტროლს 247 ათასი მანეთით ნაკლები პროდუქცია უნდა მიეღო, სინამდვილეში კი მიღებულია 5887 ათასი მანეთით მეტი ღირებულებისა.

ერთი შეხედვით, საერთო მდგომარეობა თითქმის ცუდი არ არის, მაგრამ ეს მოლაგი ასე როდია. საქმე ის გახლავთ, რომ თებერვლის უკანასკნელ კვირაში ახლებურად მომუშავე საწარმოებში მიღებულია ამ თვეში ჩასაბარებელი მთელი პროდუქციის 44,4 პროცენტი, რაც, ცხადია, არ არის ნორმალური. იერიშობანა ყოველთვის უარყოფითად მოქმედებს წინსვლაზე და იგი ადრე თუ გვიან მაინც იჩენს თავს.

მძიმე მდგომარეობა შეიქმნა თბილისის „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანებაში. თებერვალში აქ ჩასაბარებელი პროდუქციის მხოლოდ 57 პროცენტი მიიღეს და თანაც მეორე წარდგენით.

რაც შეეხება თბილისის კალინინის სახელობის სხმულების ქარხანას, აქ არასაუწყვნო კონტროლმა მწვანე გზა მისაღები პროდუქციის მხოლოდ 73,8 პროცენტს მისცა. ამ საწარმოში დღესაც არ არის დანიშნული დირექტორის მოადგილე ხარისხის დარგში. არც ტექნიკური განყოფილებაა დაკომპლექტებული მთლიანად კვალიფიციური სპეციალისტებით.

ვერც ქუთაისის საავტომობილო ქარხნის გაერთიანებამ უზრუნველყო სახმილებისათვის ნაკარაუდევი პროდუქციის მოცულობის ჩაბარება. ამ მაჩვენებელმა აქ 81,7 პროცენტი შეადგინა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მდგომარეობა კვლავ საგანგაშოა. ხელის შემშლელი მიზეზები კი იმდენია, რომ ერთ საგაზეთო წერილში ვერც ჩამოთვლი.

შედარებით რიტმულად წარმოებს პროდუქციის სახმილებისათვის ჩაბარება თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატში, რუსთავის „აზოტის“ საწარმოო გაერთიანებაში, რუსთავის მეტალურგიულ, ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენებელ და ფოთის პიდრომექანიზაციის მანქანათსაშენებელ ქარხნებში. ამასთან, როგორც უკვე ითქვა, მთელი რიგი საწარმოები ვერ იცავენ თანამიმდევრობას. ცხინვალის „ელექტროიზოლაციული მანქანების“ ქარხანაში, მაგალითად, მთელი პროდუქციის 70 პროცენტი სახმილებას თებერვლის მესამე დეკადაში წარედგინა. თითქმის ასეთივე მდგომარეობა იყო თბილისის „ანალიზსელსაწყოს“ სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებაში, „საქელექტრომანქანის“ საწარმოო გაერთიანების მეთაურ ქარხანაში და თვით „ეკრანის“ ქარხანაშიც, რომელშიც საერთოდ ცუდად როდი იმუშავა და არასაუწყვნო კონტროლს 13,9 პროცენტით მეტი პროდუქცია ჩაბარა.

ამგვარად, სახმილებაზე გადასვლიდან განვლილმა პერიოდმა გამოავლინა, რომ რეა საწარმო შედარებით სტაბილურად მუშაობს, ხუთი არღვევს ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის ზოგიერთ მოთხოვნას. მაგრამ მათს მშრომელებს უახლოეს მომავალში მდგომარეობის რადიკალურად შეცვლის საშუალება აქვთ.

რაც შეეხება დანარჩენ საწარმოებს, იქ საქმის წინსვლისათვის უნდა განხორციელდეს ფიზიკურად და მორალურად მოძველებულ მოწყობილობათა შეცვლის, თანამედროვე საკონტროლო და საცდელი საშუალებებით აღჭურვის, კადრებით დაკომპლექტების და მათი კვალიფიკაციის ამაღლების, ტექნიკური კონტროლის სამსახურების სრულყოფის რადიკალური ღონისძიებები.

მთლიანად არ არიან უზრუნველყოფილი ტექნიკური დოკუმენტაციით „ანალიზსელსაწყოსა“ და თბილისის „ელმავალმშენებლის“ საწარმო გაერთიანებები, რუსთავის ამწეთსაშენებელი და ფოთის პიდრომექანიზაციის მანქანათსაშენებელი, ცხინვალის ელექტროიზოლაციული მანქანების ქარხნები. იმავე რუსთავის ამწეთსაშენებელ ქარხანაში პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას ხელს უშლის შეღებვის ტექნოლოგიური პროცესის სისტემატური დარღვევა, ხოლო ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში — საჭირო რაოდენობის რეზერვუარების უქონლობა, საქმეს ართულებს ისიც, რომ ნავთობგადამშუშავებელი კვლავ საგრაფლობენ ხელსაწყოებით, რომელთა სიზუსტე არ შეესაბამება დროის მოთხოვნებს. არც თბილისის „კამვოლ-მაუდის კომბინატისა და თბილისის „ელმავალმშენებლის“ საწარმოო გაერთიანების მეტროლოგიური სამსახურებია დაკომპლექტებული აუცილებელი სიზუსტე და მაკონტროლებელი ხელსაწყოებით.

სუსტად აკონტროლებენ შემოსულ ნედლეულსა და მასალებს თბილისის „ჩარხმშენებლის“, რუსთავის „აზოტის“, „საქელექტრომანქანის“ საწარმოო გაერთიანებებში, ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენებელ ქარხანაში. კიდევ უფრო მეუწყარეველია ის ფაქტი, რომ ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საწარმოო გაერთიანებაში არ მოქმედებს დიზელის ძრავების საცდელი სტენდები. საწარმოში არ არიან სპეციალისტები, რომლებიც შეძლებდნენ მათს ამოქმედებასა და შემდგომ სამუშაო რეჟიმში ჩაყენებას. შეიძლება მოხდეს ისე, რომ არასაუწყვნო კონტროლმა საერთოდ შეწყვიტოს ძრავების მიღება.

ყოველად მეუწყარე

უკსოეთი
ფაქტები • მოვლენები

ქვლავ დაძაბული ვითარებაა

არ ცხრება სტიქია საქართველოს ტერიტორიაზე. დიდთოვლობას, ზვავებს მოჰყვა გრიგალისებური ქარი, რომელმაც მთელ რესპუბლიკას გადაუარა. მაგრამ ბუნების ჭირვეულობას ამოწურულად ვერ მივიჩნევთ, ითქვა სათბობ-ენერგეტიკული რესურსების წარმოებისა და მოხმარების პროცესების მართვის საკითხთა გადაწყვეტის ოპერატიული ჯგუფის თათბიერზე, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა. წინ არის თოვლის დნობა მთაში, წყალდიდობა.

რესპუბლიკაში უკვე ბევრი რამ გაკეთდა მდინარეების მოსალოდნელი საგაზაფხულო ადიდებისათვის მოსამზადებლად. კერძოდ, შემოწმდა მიწისქვეშა კომუნიკაციები, გამაგრებულია ნაპირდამცავი მოწყობილობა. ეინვალის ჰიდროელექტროსადგურში თოვლის წყლის მისაღებად დაცალეს წყალსაცავი. ინტენსიურად იხარჯება წყალი ენგურის ჰიდროელექტროსადგურშიც. ბუნების „მოწყალების“ იმედით ყოფნა არ შეიძლება, ხაზგასმით აღინიშნა თათბიერზე. შესაბამისმა სამსახურებმა უნდა დაიჩქარონ მზადება წყალმოვარდნისათვის, ექსტრემალური სიტუაციებში მუშაობისათვის.

ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ მომავალი ზამთრისათვის მზადება, მასთან დაკავშირებული სარემონტო სამუშაოები. განსაკუთრებით ბევრი რამ უნდა გაკეთონს საქართველოს ენერგეტიკოსებმა. სტიქიის მიერ დანგრეულის აღდგენისათვის საქმთავარ-ენერგოში შემუშავებული პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოთა შესრულების ზუსტ გრაფიკს. დაიწყო აგრეთვე თბოსადგურების რემონტი — თბილისის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში ამ მიზნით გაიჩერეს მეოთხე ბლოკი, ტყვარჩელისაში— პირველი.

ახლანდელი ზამთრის რთულ პირობებში მომჭირნეობა მაინც არ მოხსნილა სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მომხმარებელთა დღის წესრიგიდან. წლის დამდეგიდან რესპუბლიკაში დაიზოგა 5 მილიონ კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერგია. მაგრამ სახალხო მეურნეობის ცალკეულ ობიექტებზე მაინც ურიგდებიან მის გადახარჯვას. ელექტროზედამხედველობის ბოლო შემოწმებამ ცხადყო, რომ უყაირათოდ იხარჯება დენი თბილისის ქარხანა „აგრეგატში“ და ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისანში“. (საქინფორმი).

სასურსათო პროგრამა: რეალიზაციის გზები

მცხეთა ჩვენი სიამაყე, საყვარელი ქალაქ-მუზეუმი, მტკვრისა და არაგვის შესართავთან რომ მდებარეობს ზედაზნის, სარკინეთისა და ბაგინეთის მთებშემორტყმული. ბებრის ცახით, სამთაგოთი, სვეტიცხოვლით და ჯიღსაკით თავგზე მდგარი ჯვრის მონასტრით წლის ყოველ დროს იზდავედა მთელ საბჭოეთიდან და უცხოეთიდან ჩამოსული ტურისტებს. აქედან გასაგებია რაიონის ხელმძღვანელებს რაოდენ დიდი საზრუნავი აქვთ სტუმარ-მასპინძლობის თადარიგებისათვის. ამას ისიც ემატება, რომ მცხეთა განვითარებული მებოსტნეობის, მევენახეობის, მებაღეობის, მეცხოველეობის რაიონია და თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს ქვეყნის სასურსათო პროგრამის რეალიზაციის საქმეში.

სტუმართმოყვარე და დაუზარელი მცხეთელები ყოველივე ამას თავს კარგად ართმევენ. შარშან გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებასა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში. შარშანწინდელთან შედარებთ შარშან საშუალოდ ფურზე მიღებულია 468 კილოგრამით მეტი რძე. სახელმწიფოს მიეყიდა 287 ტონით მეტი რძე, იმატა ხორცის, მარცვლეულის, ყურძნის, ხილის, ბოსტნეულის წარმოება-დამზადებამ. უამინდობის მიუხედავად დამზადდა და სახელმწიფოს მიეყიდა 18.550 ტონა ბოსტნეული. ეს ისეთ მცირემიწიანი რაიონისათვის, როგორიც მცხეთაა, არცთუ ადვილია. მით უმეტეს, რომ აქ ბევრი საბაღო-ენერო-კვლევითი და ექსპერიმენტული ინსტიტუტი და ფილიალი, სხვა სამრეწველო და სამშენებლო საწარმოა.

რაიონში არსებული 17 საზოგადოებრივი მეურნეობიდან 11 საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარებისაა: ყველას თავისი გეგმები და საფინანსო-საზრუნავი აქვს. ისიც საგულისხმოა, რომ თბილისი ყოველ წელი ფრთებს შლის. ახალმა დასახლებებმა მოითხოვა მიწის ახალი მასივები. ამჟამად დიდ დიღომშიც გაიშალა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. დიღმის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობას დიდძალი მიწა მოაკლდა.

მიუხედავად მიწის დეფიციტისა, მცხეთელები სრულიადაც არ ფიქრობენ სასოფლო-სამეურნეო და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემცირებას. არის რეზერვები, — გვითხრა აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნუგზარ სალუქვაძემ, — ეს გახლავთ წარმოების ყველა დარგის ინტენსიფიკაცია. რაიონის ამჟამინდელმა ხელმძღვანელობამ შარშან სწორედ ამ საკითხზე გაამახვილა უურადღება, გვირჩია ინტენსიფიკაციის გზას დავდგომოდით, რადგან ეს სწორი კურსია, და დღეს, როცა საჭირო გახდა თითოეული ჩვენგანის გარდაქმნა, ყველამ უნდა შეიგნოს ინტენსიფიკაციის სიკეთე. პირველსავე წელს დამზადებულია იმდენი წვნიანი და უხეში საკვები, რამდენიც მაძღრისად გამოაზამრავს 5.360 სულ საქონელს და 4.585 ღორს. ისე, რომ კახეთიდან და რესპუბლიკის გარედან საკვების შემოტანა აღარ დაგჭირდება. ნაკლებპროდუქტიული ფურები ფერმებში აღარ გვყავს, მაგრამ სულადობა არ გაგვიზრდია, ისე გაეზარდეთ ხორცისა და რძის წარმოება.

უკეთეს შედეგებს აღწევენ ის მეურნეობები, სადაც მეცხოველეობის ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის კურსს დაადგნენ. სულადობის როდენობის ნაცვლად პროდუქციის ხარისხი, საიმედო საკვები ბაზა, ბრძოლა ნაწველის, წონამატების გადიდებისათვის — აი რა განსაზღვრავს ფერმის სახეს, მის კულტურას. ვნახეთ მცხეთის მევენახეობის საცდელი მეურნეობა (დირექტორი გ. თვაური). შემოწმებაში მონაწილეობდნენ აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე მექანიზაცია-ელექტრიფიკაციის დარგში არჩილ მანგოშვილი, გაერთიანების წამყვანი სპეციალისტები გივი გვრიტიშვილი და რევაზ ონიანი. პროფილის მიხედვით მეურნეობას 500 ჰექტარზე მეტი ვაზი აქვს გაშენებული, მას წლეულს კიდევ 20 ჰექტარი ახალი ვენახი შეემატა. ზვრები კარგად არის მოვლილი. ასეა ხეხილის ბაღებიც. შარშან მარტო ყურძნის რეალიზაციით მეურნეობამ 120 ათას მანეთზე მეტი მოგება მიიღო. ეს იმიტომაც აღვნიშნეთ, რომ არცთუ დიდი ხნის წინათ მეურნეობა სულს ღაფავდა, წამგებიანი იყო. მთავარ აგრონომ ვეფა ბუჯიაშვილს, სადაც კი უმუშავია, თავისი კეთილი კვალი ყველგან დაუტოვებია, მაგრამ აქ მაინც დიდად გაოცებულია. სტიქიის მიერ დანგრეულის აღდგენისათვის საქმთავარ-ენერგოში შემუშავებული პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოთა შესრულების ზუსტ გრაფიკს. დაიწყო აგრეთვე თბოსადგურების რემონტი — თბილისის სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურში ამ მიზნით გაიჩერეს მეოთხე ბლოკი, ტყვარჩელისაში— პირველი.

ახლანდელი ზამთრის რთულ პირობებში მომჭირნეობა მაინც არ მოხსნილა სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მომხმარებელთა დღის წესრიგიდან. წლის დამდეგიდან რესპუბლიკაში დაიზოგა 5 მილიონ კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერგია. მაგრამ სახალხო მეურნეობის ცალკეულ ობიექტებზე მაინც ურიგდებიან მის გადახარჯვას. ელექტროზედამხედველობის ბოლო შემოწმებამ ცხადყო, რომ უყაირათოდ იხარჯება დენი თბილისის ქარხანა „აგრეგატში“ და ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისანში“. (საქინფორმი).

აღმავლობა ინტენსიფიკაციით იწყება

წიფოს მიეყიდა 287 ტონით მეტი რძე, იმატა ხორცის, მარცვლეულის, ყურძნის, ხილის, ბოსტნეულის წარმოება-დამზადებამ. უამინდობის მიუხედავად დამზადდა და სახელმწიფოს მიეყიდა 18.550 ტონა ბოსტნეული. ეს ისეთ მცირემიწიანი რაიონისათვის, როგორიც მცხეთაა, არცთუ ადვილია. მით უმეტეს, რომ აქ ბევრი საბაღო-ენერო-კვლევითი და ექსპერიმენტული ინსტიტუტი და ფილიალი, სხვა სამრეწველო და სამშენებლო საწარმოა.

რაიონში არსებული 17 საზოგადოებრივი მეურნეობიდან 11 საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარებისაა: ყველას თავისი გეგმები და საფინანსო-საზრუნავი აქვს. ისიც საგულისხმოა, რომ თბილისი ყოველ წელი იურად ფრთებს შლის. ახალმა დასახლებებმა მოითხოვა მიწის ახალი მასივები. ამჟამად დიდ დიღომშიც გაიშალა საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. დიღმის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობას დიდძალი მიწა მოაკლდა.

მიუხედავად მიწის დეფიციტისა, მცხეთელები სრულიადაც არ ფიქრობენ სასოფლო-სამეურნეო და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემცირებას. არის რეზერვები, — გვითხრა აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნუგზარ სალუქვაძემ, — ეს გახლავთ წარმოების ყველა დარგის ინტენსიფიკაცია. რაიონის ამჟამინდელმა ხელმძღვანელობამ შარშან სწორედ ამ საკითხზე გაამახვილა უურადღება, გვირჩია ინტენსიფიკაციის გზას დავდგომოდით, რადგან ეს სწორი კურსია, და დღეს, როცა საჭირო გახდა თითოეული ჩვენგანის გარდაქმნა, ყველამ უნდა შეიგნოს ინტენსიფიკაციის სიკეთე. პირველსავე წელს დამზადებულია იმდენი წვნიანი და უხეში საკვები, რამდენიც მაძღრისად გამოაზამრავს 5.360 სულ საქონელს და 4.585 ღორს. ისე, რომ კახეთიდან და რესპუბლიკის გარედან საკვების შემოტანა აღარ დაგჭირდება. ნაკლებპროდუქტიული ფურები ფერმებში აღარ გვყავს, მაგრამ სულადობა არ გაგვიზრდია, ისე გაეზარდეთ ხორცისა და რძის წარმოება.

უკეთეს შედეგებს აღწევენ ის მეურნეობები, სადაც მეცხოველეობის ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის ფაბრიკის საამქროები მუშაობენ, ხოლო დანარჩენი გამართულია, მაგრამ შეფერხებითი მუშაობს ზოგჯერ საწვავის უქონლობის, მეტწილად კი კვალიფიკაციური კადრების ნაკლებობის გამო. ზნირად უხეერო მუშაობა ზრდის ამორტიზაციის ხარჯებს და აძვირებს რძის და ხორცის თვითღირებულებას, მთელ რიგ მეურნეობებში კომპლექსური მექანიზაციის დანერგვას ხელს უშლის არატპობრივი სადგომები. მაგალითად, ნატახტრის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის, ნიჩბისის მეთესლეობის და დიღმის მეურნეობების სახბორეებში არ ხერხდება მექანიზაციის დანერგვა. უფრო მეტიც, მუხრანის სასწავლო-საცდელ მეურნეობაში ახლახან აშენებულ ორ ტიპობრივ ბოსელში (თითოეული 50 ძროხისათვის) საკვების დასარიგებლად შესასვლელი კარი სტანდარტული არ არ არის, ვერ იმართება თანამედროვე მობილური საკვებმამრიგებელი, პროექტით არ არის გათვალისწინებული რძის გამაციებლები.

მეურნეობებში რძის ხარისხზე და მის თვითღირებულებაზე უარყოფითად მოქმედებს აგრეთვე ტიპობრივ შენობებში ერთ დროს დამონტაჟებული მაცივრების უმოქმედობა და მათი ამორტიზაციის დანარიცხები. საქმე ის გახლავთ, რომ „მხუ-8“ მარკის დანადგარი დეფექტიანი გამოდგა. მეურნეობის ხელმძღვანელებს წერილობითი რეკომენდაცია მიეცათ. მათ შესაცვლელად, მაგრამ რატომღაც დღემდე არ მუშაობს. მაგალითად, გალავნის მეურნეობაში იგი უმოქმედოდ დგას დამონტაჟების დღიდან (1975 წლიდან), წოლკნის ექსპერიმენტული და მუხრანის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობებში — 1978 წლიდან. ასეთივე მდგომარეობაა ნიჩბისის მეთესლეობის და მცხეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში. მათი ამორტიზაციის თანხები დღემდე მძიმე ტვირთად აწვება ამ მეურნეობებს.

ელექტროაპარატებს კარგად ამუშავებენ წოლკნისა და მუხრანის სასწავლო-საცდელი, ძალისის, გალავნის და მუხრანის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების ფერმების მუშაკები. ეს იმიტომ, რომ მწველაკები კვალიფიკაციური ჰყავთ და კარგად არიან დაუფლებული მანქანურ წველას. ისიც უნდა ითქვას, რომ საწველი აპარატების ნორმალურ მუშაობას ხელს უშლის უხეიროდ დამონტაჟებული დანადგარები. ამაში ხშირად მემონტაჟეები სცოდავენ, ზერელედ ეკიდებიან მინდობილ საქმეს. კერძოდ, ახალდაბის საბჭოთა მეურნეობის 200-ადგილიან ბოსელში და წოლკნის მეურნეობის ფერმაში საწველი დანადგარები ხელმეორედ დაამონტაჟეს. საურამოს საბჭოთა მეურნეობაში დღემდე დაუმთავრებელია სამონტაჟო სამუშაოები; ფერმა კი მესამე წელია ჩაბარდა.

საზოგადოებრივი მეურნეობების ფერმებში ყველა მარკის 60-მდე მცირეძალოვანი ტრანსფორმატორია დამონტაჟებული. მწყობრიდან გამოსულის შემთხვევაში ტრანსფორმატორების შესაკეთებლად მცხეთის მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმოს ხშირად სათადარიგო ნაწილები არა აქვს. გარდა ამისა, მეურნეობებს აკლიათ ხის მასალა საიმისოდ, რომ დროულად შეცვალონ ხოლმე ნაკელგამტანის ღარები. არადა, ამის გამო ნაადრევად ფუჭდება ნაკელგამტანები. პირუტყვის ავტომატურად დასარწყულებელი დანადგარი ყველა ფერმებშია მოწყობილი; ძველ ფერმებში მილები სიძველის გამო ზოგან შესაცვლელია, მაგრამ საკმაო რაოდენობით არა აქვთ მილები და ვერ ცვლიან. მუშაობა უნდა გარდაქმნან რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების შესაბამისი უბნების მუშაკებმა, რათა ზონაში შემავალი ორგანიზაციები უზრუნველყონ საჭირო დანადგარ-მოწყობილობით და მასალით.

გ. ნოდია,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

სკოლა გარდაქმნის გზაზე

თავიანთი მუშაობის წარმატებებსა და ნაკლოვანებებზე სკაბაასისათვის შეიკრიბნენ ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების პედაგოგიური საზოგადოებრიობის საუკეთესო წარმომადგენლები აფხაზეთის მასწავლებელთა V ყრილობაზე.

მომხსენებლებმა — აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრმა თ. კოტლინამ, მისმა პირველმა მოადგილემ ვ. გასვიანმა, პროფტექნიკური განათლების სამმართველოს უფროსმა ი. ფირცხალავამ, ყრილობაზე გამოსულმა საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ნ. ვასაძემ, დელეგატებმა აღნიშნეს, რომ განვლილ პერიოდში რამდენადმე განმტკიცდა სკოლების, პროფტექნიკური სასწავლებლებისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მატერიალური ბაზა. კერძოდ, აშენდა 20 სკოლა, 10 სკოლამდელთა დაწესებულება. გაიხსნა ხუთი სასწავლო-საწარმოო კომბინატი. საბალხო განათლების ბიუჯეტი თიმუმის შვიდი მილიონი მანეთით გაიზარდა.

წარმატებები ცხადია, მაგრამ ავტონომიური რესპუბლიკის სკოლების ცხოვრებაში ჯერჯერობით მაინც ბევრი ნაკლია, ხაზგასმით აღინიშნეს დელეგატებმა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დასკვნა, რომ ამ სფეროში გარდაქმნის ტემპსა და სიღრმეს დამაკმაყოფილებლად ვერ მივიჩნევთ, გვაიძულებს ჩავფიქრდეთ, თუ რა უშლის ხელს ზოგდასაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის უფრო ეფექტიან განხორციელებას. მაგალითად, 20 სკოლა ავარიულ მდგომარეობაშია, კიდევ უფრო მეტი საშუალო სასწავლებლის შენობა ვერ აკმაყოფილებს ელექტრონულ მოთხოვნებს. ყველგან ივრძნობა ბავშვთა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მწვავე ნაკლებობა.

ყრილობაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ადლეიბა.

ყრილობამ მიიღო რეზოლუცია და მიმართვა ავტონომიური რესპუბლიკის მასწავლებლებისადმი, აგრეთვე აირჩია საქართველოს მასწავლებელთა VII ყრილობის დელეგატები.

(საქინფორმი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტში

20 მარტს მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური და სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის პლენუმი. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ ქვეყნის თვალსაჩინო მეცნიერები და სახალხო მეურნეობის სპეციალისტები.

პლენუმმა განიხილა 1987 წლის სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნამუშევრები და მათგან ყველაზე ღირსეული შეარჩია კონკურსში მონაწილეობისათვის.

ამ ნამუშევართა ნუსხა გამოქვეყნდება გაზეთ „იზვესტიაში“.

უკსოეთი
ფაქტები • მოვლენები

დასახეს სამომავლო გეგმები

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილების, რომლებიც რევოლუციური წვლილია სოციალისტური საზოგადოების განვითარების დაჩქარების ძირეულ ამოცანათა შესრულების საქმეში, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის ღონისძიებებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შედეგების გამოყენებისათვის. ეს ხაზგასმით აღინიშნა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში, რომელიც გამოაქვეყნეს ჩეხოსლოვაკიის გაზეთებში.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

ნაკის მიღწევათა ეფექტიანი დანერგვა პრაქტიკაში. ამასთან თანამიმდევრულად უნდა განხორციელდეს სახალხო მეურნეობის სტრუქტურული გარდაქმნა, განმტკიცდეს პერსპექტიული დარგები, დაინერგოს თვისებრივად ახალი ტექნოლოგიები, რომლებიც უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების მაღალ დონესა და მაქსიმალურად ეფექტიან საბოლოო შედეგს.

ამავე დროს, აღნიშნულია დადგენილებაში, განვლილ პერიოდში მიღწეული გარკვეული პოზიტიური შედეგების მიუხედავად, დღემდე არ მომხდარა პრინციპული შემობრუნება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა პრაქტიკულ გამოყენებაში. სახალხო მეურნეობის განვითარებაში შენარჩუნებულია ექსტენსიური ტენდენციები. ნელა ხორციელდება სტრუქტურული ცვლილებანი. არ სრულდება პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების გეგმით გათვალისწინებული მონახაზები. ეს არასასიკეთო გავლენას ახდენს საშინაო ბაზარზე მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ექსპორტისა და სამშენებლო სამუშაოთა ეფექტიანობაზე. არასასიკეთო ტენდენციების შენარჩუნება ქვეყნის ეკონომიკურ და მეცნიერულ-ტექნიკურ განვითარებაში სერიოზულ საფრთხეს უქმნის ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის XVII ყრილობის ამოცანების შესრულებას. ნაკლოვანებების ძირითად მიზეზად, ნათქვამია დადგენილებაში, ცენტრალური კომიტეტს მიაჩნია მართვის ახლანდელი მექანიზმის სუსტი ზემოქმედება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებაზე.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განსაკუთრებული უურადღება მიაპყრო ჩეხოსლოვაკიის აქტიურ მონაწილეობას შრომის საერთაშორისო სოციალისტურ დანაწილებაში, უწინარეს ყოვლისა 2000 წლამდე ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამის რეალიზაციაში. ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ უფრო გადაჭრით უნდა იმოქმედონ ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში თანამშრომლობის ახალი ფორმების გაფართოებისას, საწარმოთა და ორგანიზაციათა პირდაპირი ურთიერთობის გამოყენებისა და გაერთიანებულ საწარმოთა შექმნისას.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს ძირეული მნიშვნელობის ამოცანად მიაჩნია სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის პრინციპების, სახელმწიფო საწარმოთა შესახებ კანონის პროექტის დაჩქარებული და თანამიმდევრული შემუშავება. ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა ის, რომ გარდაქმნამ სარბიელი უნდა მისცეს მართვაში შრომითი კოლექტივების ფართო მონაწილეობას, გაძლიეროს მათი პასუხისმგებლობა მიღწეული შედეგებისათვის.

სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის საკითხთან ერთად ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგმა პლენუმმა უნდა განიხილოს საკადრო პოლიტიკის საკითხებიც.

პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები. ი. კორჩაკი მისი თხოვნით ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გაათავისუფლეს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად. კ. ჰოფმანი აირჩიეს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად, მ. ზავადილი — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრად.

პლენუმზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა გ. ჰუსაკმა.

საბჭოთა პარლამენტარების დელეგაცია ზამბიაში

ლუსაკა. ზამბია მთლიანად უჭერს მხარს სსრ კავშირის მიერ წამოყენებულ 2000 წლამდე მთელ მსოფლიოში ბირთვული იარაღის სრული ლიკვიდაციის პროგრამას, განაცხადა დღეს ზამბიის ეროვნული დამოუკიდებლობის გაერთიანებული პარტიის გენერალურმა მდივანმა გრეი ზულუმ. ზამბიაში ვიზიტად მყოფი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფისა და მისი მეთაურის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის პ. გ. გილაშვილის მიღებისას მან ხაზი გაუსვა, რომ ისტორიაში პირველად გამოცხადდა, რომ აუცილებელია დედამიწაზე ბირთვული იარაღის ლიკვიდაცია.

ზამბია, აღნიშნა გ. ზულუმ, მიესალმება ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის გამოიზნულ ყველა წინადადებას. მან თქვა, რომ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თავის დროზე საბჭოთა კავშირის მიერ გამოცხადებულ ყოველგვარი ბირთვული გამოცდების ცალმხრივ მორატორიუმს. ზამბიას, ისევე როგორც სსრ კავშირს, თავის მთავარ ამოცანად მიაჩნია ბრძოლა პლანეტაზე კაცობრიობის არსებობის გაგრძელებისათვის.

მიესალმა რა ზამბიაში საბჭოთა პარლამენტარების ვიზიტს, ზამბიის ეროვნული დამოუკიდებლობის გაერთიანებული პარტიის გენერალურმა მდივანმა აღნიშნა ორი ქვეყნის ურთიერთობის გულთბილი, მეგობრული ხასიათი და მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირ-ზამბიის თანამშრომლობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას.

გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ სამხრეთ აფრიკაში შემაშფოთებელი ვითარება შეიქმნა. პრეტორიის რეჟიმი, თქვა მან, განაგრძობს ნამიბიის ტერიტორიის უკანონო ოკუპაციას და უგულებელყოფს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რეზოლუციებსა და საერთაშორისო გაერთიანების აზრს. რასისტები დაჟინებით მოითხოვენ, რომ ნამიბიის დეკოლონიზაციის პრობლემის გადაჭრა „დაუკავშირდეს“ ანგოლიდან კუბის ჯარების გაყვანას“. თვით სამხრეთ აფრიკაში ხელისუფალნი დასავლეთ მფარველების მხარდაჭერით სულ უფრო ამძაფრებენ დაძაბულობას და ტერორის კამპანიას აჩაღებენ უუფლებო აფრიკელი მოსახლეობის წინააღმდეგ.

ვიზიტი ზამბიაში, შეხვედრები ზამბიელ პარლამენტარებთან, პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეებთან, განაცხადა საპასუხო სიტყვაში საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, მნიშვნელოვანი წვლილია რასიზმისა და აპარტეიდის ლიკვიდაციის, აფრიკის სამხრეთში ერთიანი დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის საქმეში. ჩვენ, თქვა მან, კარგად ვიცით, რა როლს ასრულებს ამ მიზნების მიღწევაში ზამბიის ეროვნული დამოუკიდებლობის გაერთიანებული პარტია. ყოველ პარტიას, თავისი რაოდენობის მიუხედავად, შეუძლია ხელი შეუწყოს კაცობრიობის განვითარებას, საერთაშორისო თანამშრომლობის გაფართოებას, თუ მას პროგრესული იდეები და შეხედულებები აქვს.

პ. გ. გილაშვილმა მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ზამბიის ეროვნული დამოუკიდებლობის გაერთიანებული პარტიის კავშირურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებას.

აძ ვიზიტად მყოფი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფი, რომელსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გ. გილაშვილი მეთაურობს, პარასკევს ეწვია ზამბიის რესპუბლიკის ეროვნულ კრებას, სადაც იგი მიიღო ზამბიის პარლამენტის სპიკერმა რობინსონ ნაბულიატომ.

საუბრის დროს, რომელმაც გულთბილ და მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა, განხილეს ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხები, გაიმართა პარლამენტის მუშაობის გამოცდილების ნაყოფიერი გაზიარება.

მიზანია ურთიერთობის გაუმჯობესება

გაიმართა იაპონია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ყრილობა

ტოკიო. იაპონია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებამ — იაპონიის საზოგადოებრიობის ერთ-ერთმა უდიდესმა ორგანიზაციამ, რომელიც მოითხოვს ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობის გაუმჯობესებას, ეკონომიკურ, კულტურულ, სამეცნიერო დარგებში კავშირურთიერთობის განვითარებას, ტოკიოში მოაწყო თავისი XXIII ყრილობა, რომელშიც მონაწილეობდნენ პარლამენტის დეპუტატები მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიისაგან და ოპოზიციის წამყვანი სოციალისტური პარტიისაგან, იაპონიის პროფკავშირთა გენერალური საბჭოს, დიდი საზოგადოებრივი ორგანიზაციების, იაპონიის საქმიანი წრეების წარმომადგენლები. ფორუმს საბჭოთა საზოგადოებრიობის დელეგაციაც ესწრებოდა.

ყრილობის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს, თუ რა დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს უკანასკნელ ხანს საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებულ სამშვიდობო ინიციატივებს, განსაკუთრებით XX საუკუნის დამლეგამდე ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის პროგრამას. მათ აღნიშნეს, რომ იაპონიასა და მთელ მსოფლიოში ბირთვული საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლისათვის საზოგადოებრიობის შეკავშირების ქმედითი ძალა გახდა საბჭოთა კავშირის ბირთვულ აფეთქებათა მორატორიუმი, რომელიც წელიწად-ნახევარზე მეტ ხანს გრძელდებოდა. ყრილობის დელეგატებმა მხარი დაუჭირეს სსრ კავშირის ახალ წინადადებებს საშუალო სიშორის ბირთვული რაკეტების თაობაზე. იაპონიის საზოგადოებრიობა, აღნიშნავდნენ სსრ კავშირის მეგობართა ფორუმის მონაწილენი, დიდი ინტერესით ადევნებს თვალს სსრ კავშირში მომხდარ სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნებს, მის მიმდინარეობას.

ყრილობის მონაწილეებმა მიიღეს მიმდინარე წლის მოქმედების პროგრამა, რომელშიც მთავარი უურადღება აქვს დათმობილი იაპონიაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთვის ზეიმისათვის მზადებას. დასახულია საბჭოთა კავშირ-იაპონიის ომისსაწინააღმდეგო შეხვედრები და მანიფესტაციები, საზოგადოებრიობის მეგობრული კონტაქტები, გამოფენების მოწყობა და დელეგაციების გაცვლა. ყრილობაზე ხელი მოაწერეს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოებების „კავშირისა და „სსრ კავშირ-იაპონიის“ საზოგადოების იაპონია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებასთან თანამშრომლობის გეგმას.

„ჩვენი საზოგადოება აპირებს გააკეთოს მეცადინეობა, რომლის მიზანია იაპონია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესება, — ბაზგასმით აღნიშნა საკრებულის კორესპონდენტთან საუბარში იაპონია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების თავმჯდომარემ, თვალსაჩინო იაპონელმა პოლიტიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ, პარლამენტის დეპუტატმა მმართველი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიისაგან მუნენორი აკიგამ. „საბჭოთა კავშირის სამშვიდობო ინიციატივები, მთავრობათა დონეზე ორმხრივი კავშირურთიერთობის ამჟამად ჩასახული გაკეთილშობილება, საამისოდ კარგ საფუძველს ქმნის. შემიძლია ვთქვა, რომ საზოგადოებრიობის მეკადინეობის მეოხებით „უკანასკნელ ხანს ჩვენი ურთიერთობა შესამჩნევად უმჯობესდება“.

ბუენოს-აირესი. არგენტინელ კომუნისტთა გაზეთმა „კე პასამ“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ნათქვამია, რომ სსრ კავშირში მომხდარი ცვლილებები ნამდვილად რევოლუციური ხასიათისაა.

მისი ავტორი — ჟურნალისტი როდოლფო ნადრა — მოსკოვში მუშაობდა 70-იანი წლების დამლეგსა და 80-იანი წლების დამდეგს, ხოლო ახლახან კვლავ ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის დედაქალაქში სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის მუშაობის დღეებში. სტატიაში იგი წერს იმის შესახებ, თუ როგორ და რატომ წარმოიშვა სსრ კავშირის განვითარების გარკვეული ეტაპზე სოციალიზმისათვის უცხო უძრაობისა და ნეგატიური მოვლენების, როგორ

ᲯᲐᲓᲝᲡᲜᲣᲠᲘ ᲤᲚᲔᲘᲢᲐ

ᲗᲐᲕᲘᲓᲐᲜ ყველაზერი ჩვეულებრივად დაიწყო. იყო მხიარული, უზრუნველი ბავშვობა და სალამურის მიმართ გამოჩრეული ინტერესი. დათოს შშობლებისათვის ერთ ჭკვიან კაცს ურჩევია, ფლეიტის კლასში მიიყვანეთ, თუ ნიჭი აქვს, არ დაიკარგებაო. ნიჭის გახვითარებასა და პიროვნების ჩამოყალიბებაში კი დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ არის გზისმკვლევი. დათო ოძელაშვილს ბედმა, სწორედ რომ, გაუღიმა — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ნოდარ ხოფერია თავისი საქმის ნამდვილი ეხთუზიასტია. დრიტიკონი ჰეხრიხ ბაბოვიანი შემდეგ, დათო ოძელაშვილის ოსლო კონცერტზე გაიხსენებს: „ნოდარი შეუვარებული იყო ამ ინსტრუმენტზე, რა დამავიწყებს, როგორ კოცნიდა თავის ფლეიტას. მოწაფესაც შთაუნერგა ეს სიყვარული. სიყვარული კი ცოტა არ გეგონოთ, ესეც ნიჭია“. სულ ბავშვი, კარგი პედაგოგისა და, რა თქმა უნდა, იშვიათი ნიჭის წყალობით, სწავლების პირველსავე წელს მონაწილეობა მიიღო კონკურსში და ყიურის ყველა წევრის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, დათოს, ერთადერთს, მიეკუთვნა პირველი ადგილი. ათი წლის ბიჭუნა კონკურსის ლაურეატი გახდა. ამას მოჰყვა გამარჯვება ცენტრალური ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის შესარჩევ კონკურსში ჩეხოსლოვაკიის „პრაღა კონცერტინოსათვის“.

დათო არაჩვეულებრივად დიდი მოცულობის პროგრამას ასრულებს. აქვს იშვიათი სმენა და მხედველობითი მეხსიერება. უკრავს ფლეიტაზე, გიტარაზე, საქსოფონზე, როიალზე, სალამურსა და ფანდურზე. იგი ბავშვთა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „ლახტის“ წევრია, აგრეთვე, სპორტსაზოგადოება „დინამოს“ წევრი და იმედისმომცემი ჩოგბურთელიც გახლავთ. თორმეტი წლის ბიჭუნა შესაშური ენერგიითა და მონდომებით უთავსებს მუსიკასა და სპორტს. რიცა ტურნირებში მონაწილეობის მისაღებად მიემგზავრება, ფლეიტას არ იშორებს, როგორც კი თავისუფალ დროს იხელთებს, უკრავს და უკრავს.

ამჟამად დათო ოძელაშვილი თბილისის 21-ე სამუსიკო სკოლის მესამე კლასის მოწაფეა და, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, სრულად ფლობს ფლეიტაზე შესრულების ხელოვნებას, ბგერასა და სუნთქვას, სტაკატოსა და ლეგატოს და, რაც მთავარია, შესაფური ტექნიკით ასრულებს კონსერვატორიის მეხუთე კურსის სტუდენტის პროგრამას.

ახლახან პატარა ფლეიტისტმა ჭეშმარიტად განაცვიფრა სოლო კონცერტზე კონსერვატორიის მცირე დარბაზში მოსული მუსიკის მოყვარულნი.

თბილისში სტუმრად მყოფმა მოსკოვის გნესინების სახელობის სპეციალური მუსიკალურ-პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტმა, საქსოფონის კლასის პედაგოგმა მარგარიტა შაპოშნიკოვამ კონცერტის შემდეგ თქვა:

— განცვიფრებული ვარ. ბევრი ნიჭიერი მოწაფე მყოლია, მაგრამ დათო სულ სხვაა. ბავშვს ერთსაათიანი კონცერტი გაეძართოს და ისიც ამხელა პროგრამით, ნამდვილად არ მსმენია. თანაც, როგორ ღირსეულად, არტისტულად უჭირავს თავი!

იმ საღამოს დათო ოძელაშვილმა შეასრულა დოლიძის, ფალაშვილის, რიხლიგის, დოპლერის, პოპის, რიმსკი-კორსაკოვის, ბეთჰოვენის, შოპენის, შუბერტის, გლიუკის, მოცარტისა და ბახის ნაწარმოებები. ფორტეპიანოს პარტიას ასრულებდა თამარ მაჭავარიანი, აკომპანიატორი იყო კონსერვატორიის „სტუდენტთა ინტერესების“ კლუბის კამერული ორკესტრი ბადურ სამადაშვილის ხელმძღვანელობით.

დათო ოძელაშვილის სახით საბჭოთა ხელოვნებამ კიდევ ერთი ნიჭიერი შემსრულებელი შეიძინა.

მ. ᲢᲚᲐᲨᲐᲫᲔ.

მ. ᲛᲐᲗᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲒᲐᲤᲣᲭᲓᲔᲡ ᲩᲝᲜᲒᲣᲠᲘ...

ᲐᲛ ᲚᲐᲛᲐᲖᲘ სოფლის გზას იმ გამოფენის გამო დავადექით, ახალციხის თეატრში რომ ვიხილეთ. მხატვრული აგიტკოლექტივის შემოქმედებითი მოღვაწეობის 25 წლისთავის აღსანიშნავ ზეიმზე, დაგვაინტერესა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების აქ წარმოდგენილმა ნიმუშებმა: ფერწერამ, გრაფიკამ, ქსოვამ, ხის ჩუქურთმამ, ლითონმჭანდაკებლობამ. ნამუშევართა ავტორები თვითნასწავლი მხატვრები და ხალხური რეწვის ოსტატები ყოფილნენ, ხოლო მათი უმრავლესობის მისამართი სოფელი მუსხი აღმოჩნდა, რესპუბლიკურ სამეცნიერო-მეთოდიკურ ცენტრში მუსხიდან ერთი-ორი ნიჭიერი ავტორია აღრიცხული, მაგრამ ამდენი მაისურაძის, ეუფუნაძის, ჭინჭველაძის, ქურდაძის, ოქროძელიძის, სახელები კი დღემდე არ ვიცოდით...

სწორედ მათ გასაცნობად ვეწვეთენ სოფელს. ავიარა დღეს სოფლის კლუბის კარი დილიდანვე ღია... თითო-ოროლა, ზოგჯერ ჯგუფად მოდიან აქ მშრომელები, მოსწავლეები სასურველ თემაზე სასაუბროდ, გართობის სალამოს მოსამზადებლად, წრეებში სამეცადინოდ.

ჩვენც კლუბში შევხვდით სოფლის მშრომელებს, ახალგაზრდებს, ბევრი საინტერესო შევიტყვეთ და ვნახეთ...

მუსხში სოფლის ყველა მშრომელს, გარდა ძირითადი საქმიანობისა, თავისი გატაცება აქვს: ზოგი გიდელსა და კალათს წნავს, ზოგი ჭილოფსა და ფარდაგს ქსოვს, მოლექსეებიც არ აკლიათ.

აკვნის კეთებაში ტოლი არა აყავს ხანდაზმულ იაკობ ლომაძეს. წკნელისაგან ოსტატურად ქსოვს ხილის საკრეფ გიდელს ვეტერანი რომან ოქრომელიძე. სოფლის 24 მწყემსიდან უმრავლესობა მოშაირე და ხალხური მთქმელია. ერთი მთგანი მწყემსი დეკანოზ ლომიძეა. ყველა ოჯახში ქსოვენ ასაკის მიუხედავად, — ვინ ფარდაგს, ვინ ხალიჩას, ხურჯინსა თუ ჩანთებს და თითქმის ყოველი ქალი საკუთარი, წმინდა მესხური ორნამენტით იწორებს თავს. ეს „გრეხილაო“, ეს „კურდღელი“ ან „ირემი“, ეს კი „დედოფალია“, — გვაცნობენ ორნამენტების სახელწოდებას. მოზარდებიც გულმოდგინედ სწავლობენ ხელსაქმეს უფროსებისაგან.

ხუთი შვილის დედაა ლენა ოქრომელიძე, იგი რიდუნებენი ასწავლის თავის შვილებს ჭილოფისა და ფარდაგის ქსოვას. თითქოს მთელ სოფელში შეჯიბრებაა, — ვინ უფრო ლამაზ ნივთს შექმნის ან ფარდაგს მოქსოვს, — ყველა ამ საქმეს კი სოფლის კლუბი უძღვება. ქსოვის ოსტატია კლუბის გამგე მარიამ ეუფუნაძე, რომელიც სოფლის გოგონებს ხელნათების, ფარდაგის, ხალიჩის, ხურჯინის ქსოვას ასწავლის. კლუბთან შექმნილი ქსოვის წრე მოყვარულთა მთელ გაერთიანებად იქცა, რომელიც სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტის მოვალეობასაც ასრულებს. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ გაერთიანების წევრებმა მოქსოვეს მუზარადები და „ჯაჭვის პერანგები“ რაინოსული ქორეოგრაფიული ანსამბლისათვის. ნიჭიერი ხალხის საკრებულოა ფოლკლორის მოყვარულთა წრე (დრამატული კოლექტივი), ქორეოგრაფიული და მუსიკალური ჯგუფები. ახლა აქ ჩონგურისა და ფანდურის დაკვრის შემსწავლელთა ფასიან წრესაც ქმნიან.

80 წელს მიტანებული ვეტერანი კოლმეურნე ევა ივანიძე ხურჯინების ქსოვის ოსტატიც ყოფილა, ოღონდ ნანობს, საქსოვი დაზგები აღარ გვაქვსო. მართლაც, ხურჯინის ქსოვის ოსტატთა რიცხვი რომ შემცირებულა, ამის მიზეზი ისიც არის, სოფელში რომ აღარც ჯარა აქვთ, აღარც დაზგა. ერთადერთი დაზგა „ხანა“ სოფლის კლუბში დგას. პრობლემა იოლად გადაწყდა. საუბარში ჩაერია სკოლის დირექტორი, რომელიც დაგვპირდა — ჩვენი ბავშვები შრომის გაკვეთილებზე სადურგლო საქმეს ეუფლებიან და აუცილებლად დავამზადებინებთ დაზგებსაც და ჯარასაც. იმაზეც მოვილაპარაკეთ, რომ სოფლის ყოფის ამსახველ ნივთებს, რომელთა ნაწილი უკვე შეგროვილია, აუცილებლად მოუყრიან თავს ერთ-ერთ მიწურში, რომელსაც სოფლის ყოფის ამსახველ მუზეუმად აქცევენ. ასე გაიზიარა სოფელმა კარგი აზრი. და გვჯერა, ეს დაპირება მალე საქმედ იქცევა.

ახლა ღამეის საიდუმლოებას არ იკითხავთ? აქ ქიმიურ საღებავს იშვიათად ხმარობენ. ეს ყაყაჩოს ფურცლებით არის შეღებილი, ეს — ნიგვზის წენგოთი, ეს კიდევ ხახვის ფოთლით, ენდროთი ან ინითაო, — ამბობენ ქალები და ხასხასა ფერის ძაფებს გვიჩვენებენ, რომლებიც არ ხუნდება.

სამკურნალწამლო ბალახებსაც აგროვებენ, ახმობენ და დამზადების, გამოყენების წესებს იწერენ, ერთმანეთს ასწავლიან. მოკლედ, ბევრი საქმე და საზრუნავი აქვს კლუბისა თუ ბიბლიოთეკის აქტივს.

ამ სოფელში შრომა სიხარულია, „თავისუფალი დრო“, უფრო სწორად, უქმად დასაკარგი დრო, არავის აქვს. იგი სასარგებლო საქმეს, მშრომელთა და განსაკუთრებით, ახალგაზრდობის ესთეტიკურ აღზრდას, ხალხური შემოქმედების ტრადიციების განვითარებას ხმარდება.

სოფელი მუსხი ნიჭიერი ხალხის სავანეა. აქ შრომასთან ერთად მშვენიერების თაყვანისცემასაც ასწავლიან, წარსულის პატივისცემას აღვივებენ, ასე საჭირო რომ არის მომავლის ლამაზი შენობის ასაგებად.

Გ. ᲥᲝᲩᲘᲫᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ხალხური შემოქმედების და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდიკური ცენტრის დირექტორი.

ᲥᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ ᲛᲡᲣᲑᲣᲪᲔ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲓᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲗ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲘᲚᲘ ᲜᲘᲛᲘᲨᲔᲑᲘ. ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ „ᲛᲝᲓᲐ“ (1986-87 ᲬᲚᲔᲑᲘ) ᲛᲝᲛᲘᲪᲐᲕᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲘᲐᲮᲚᲔ, ᲠᲐᲡᲪ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲛᲝᲓᲐ ᲒᲕᲗᲐᲕᲐᲖᲝᲜᲡ. ᲛᲝᲓᲐ ᲙᲘ ᲐᲮᲚᲐ ᲛᲘᲢᲐᲓ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲤᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘᲐ, ᲠᲐᲪ ᲛᲝᲓᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲞᲝᲠᲪᲘᲔᲑᲨᲘ, ᲡᲐᲮᲝᲛᲐᲠ ᲛᲘᲜᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲗ ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲗ. ᲔᲡ ᲓᲘᲓᲐᲓ ᲐᲐᲓᲒᲘᲡᲚᲔᲑᲡ ᲛᲘᲡ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐᲡ. ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲚᲔᲚᲘ ᲖᲕᲘᲐᲣᲠᲘ — ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ — ᲖᲣᲠᲐᲑ ᲑᲝᲪᲕᲐᲫᲔ. ᲛᲐᲡᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ

დაუკრავენ ვირტუოზები

ტალინის ბავშვთა კაპელას „ელერჰენინ“ („თეთრყვავილა“) პროფესორ ჰეინო კალუსტეს ხელმძღვანელობით, თბილისის მოსწავლეთა მხატვრული აღზრდის სახლის ბიჭუნების გუნდს „მართვეს“, რესპუბლიკური სამუსიკო საშუალო სკოლა-ინტერნატის ბავშვთა კაპელას „იას“, ნორჩ მოსკოველ მუსიკოსებს — ცენტრალური სამუსიკო სკოლის რსფსრ დამსახურებული არტისტის ირინე ბოჩკოვას კლასის აღსაზრდელებსა და ზ. ფალიაშვილის სახელობის რესპუბლიკური საშუალო სპეციალური სამუსიკო სკოლის მოსწავლეებს პატივი ხვდათ გახსნან საბავშვო და საყმაწვილო მუსიკის კვირეული. ეს მოხდება 24 მარტს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში. კონცერტებზე ფართოდ იქნება წარმოდგენილი საბჭოთა და საზღვარგარეთის მუსიკალური კლასიკის საუკეთესო ნიმუშები, თანამედროვე ავტორთა ნაწარმოებები.

საინტერესო და ვრცელი იქნება კვირეულის პროგრამა. სკოლის გაზაფხულის არდადეგების დროს საქართველოს პროფკავშირთა სასახლეში გამოვლენ პროფტექნიკური სასწავლებლების მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები, ზოგადსაგანმანათლებლო და სამუსიკო სკოლების და სასწავლებლების მოსწავლეები, სკოლამდელთა დაწესებულებების აღსაზრდელები.

დათვალიერებაში მონაწილეობას მიიღებენ ქალაქ სოხუმის ბავშვთა ინტერნაციონალური გუნდი, თელავისა და გურჯაანის საგუნდო კოლექტივები. ნორჩ მსმენელებს დაატკბობს მერი დავითაშვილის, დალი ჩხეიძის, რამაზ ქარუხნიშვილის, შავლეგ შილაკაძის, გერმან ჯაფარიძის, ჯემალ ბეგლარიშვილისა და სხვათა ახალი ნაწარმოებები.

კვირეული დამთავრდება სიმფონიური მუსიკის კონცერტით, რომელიც გაიმართება თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში. საქართველოს სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად გამოვლენ ნორჩი სოლისტები — ზ. ფალიაშვილის სახელობის რესპუბლიკური საშუალო სპეციალური სამუსიკო სკოლის აღზრდილები ანა ბეგელაძე და მეგორელიძე და მეგოლინე რუსუდან ჩუბრუკაძე. მოსკოვის შაპორინის სახელობის სამუსიკო სკოლის მე-4 კლასის თერთმეტი წლის მოსწავლეს პოლინა ოსეტინსკაიას მხურვალედ უკრავდნენ ტაშს ქვეყნის მრავალი ქალაქის მსმენელები. „მეოთხეკლასელი ვირტუოზი“ — ასე დაასათაურა „ნედელიამ“ თავისი პუბლიკაცია, რომელიც ამ ნიჭიერ გოგონას მიეძღვნა. თბილისში კვირეულის დასკვნითს საღამოზე იგი შეასრულებს სენ-სანსის კონცერტს და რახმანინოვის მეორე კონცერტს პაგანინის თემაზე.

— საბავშვო მუსიკის ახლანდელი დღესასწაული იმართება დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის წელს, და ამ ღირსშესანიშნავმა თარიღმა განსაზღვრა დათვალიერების ტონალობა,— თქვა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეების მდივანმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა მერი დავითაშვილმა. — კვირეულის პროგრამებში ცენტრალური ადგილი დაეთმობა მაღალი მოქალაქეობრიობისა და ინტერნაციონალიზმის, მშვიდობის, სიკეთის, სოციალური სამართლიანობის იდეებით გამსჭვალული ნაწარმოებებს.

(საქინფორმი).

ჭადრაკის დაფებთან

უნგრეთში ახლახან დამთავრებულ ქალთა შორის მსოფლიო პირველობის ზონალურ ტურნირში რომ საზონათშორისო შეჯიბრების საგზურებს მარია ივანკა (უნგრეთი), მარია ვოისკა (ბულგარეთი) და ელეშკა კლიმოვა (ჩეხოსლოვაკია) დაეუფლნენ, ჩვენმა მკითხველებმა უკვე იცით. დამატებით მატჩში უნდა გათამაშებულიყო მეოთხე საგზურიც. მეოთხე-მეხუთე ადგილებზე გამოსულ ილდიკო მადლისა და ჟუჟა ვერეცის (ორივე — უნგრეთი) მინი-მატჩში გაიმარჯვა მადლმა (2,5:1,5) და ისიც საზონათშორისო ტურნირში ისასპარეზებს.

მინსკში გრძელდება მოჭადრაკე ვიფფა საკავშირო ჩემპიონატი. მეცამეტე ტურში ბელიავსკიმ მოუგო ლუტიანს. ფსახისი დაუზავდა ტუმაკოვს, სალოვი — კუპრეიჩიკს, რაშკოვსკი — იუსუპოვს. დანარჩენი პარტიები გადაიდო. შეჯიბრების ლიდერი კვლავ ილვესტია, რომელმაც 9 ქულა დააგროვა. 8-8 ქულით მომდევნო ადგილებზე არიან სალოვი და ბელიავსკი.

ოთხი ტურიც და დასრულდება მოჭადრაკე ქალთა 43-ე რესპუბლიკური ჩემპიონატი. დასკვნითი შეხვედრები უადრესად დამაბეჭდილად და საინტერესოდ მიმდინარეობს. მეცამეტე ტურში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენლები — ქეთევან კახიანი და ციური კობაიძე. მძაფრი ბრძოლის შემდეგ პარტია კობაიძის უპირატესობით გადაიდო. ნინო მელაშვილმა დაამარცხა სოფიკო ტერეზაძე, სოფიკო ნიკოლაძემ— ქეთევან მელაშვილი, თამარ ხუგაშვილმა — ალა ჩაიკოვსკაია. რაც შეეხება ჰენრიეტა ლაგვილავას, მან ფინიშზე მკვეთრად უმატა ტემპს და ზედიზედ მეოთხე გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად მან ლელა თანდაშვილის სძლია. სხვა შეხვედრები გადაიდო. მეცამეტე ტურის შემდეგ ქეთევან კახიანს 8 ქულა და 3 გადადებული პარტია აქვს, ნინო მელაშვილს — 8 ქულა და 2 გადადებული, ქეთევან მელაშვილს — 7,5, თამარ ხუგაშვილს და ჰენრიეტა ლაგვილავას — 7-7 ქულა და 3-3 გადადებული პარტია, ციალა ქასოშვილს — 7 ქულა და 1 გადადებული, ციური კობაიძეს — 6 ქულა და 3 გადადებული. აღსანიშნავია, რომ კახიანის გარდა ლიდერთა ჯგუფის ყველა წარმომადგენელს 12-12 შეხვედრა აქვს გამართული, კახიანს კი 13.

სატურნირო ორბიტა

ჩოგბურთი. მოსკოვში მიმდინარე ქალთა ზამთრის საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალურ შეხვედრაში კიეველმა ნ. მედვედევამ დაამარცხა ლვოველი ლ. სავჩენკო — 6:3, 6:4, მოსკოველმა ნ. ბიკოვამ კი მოუგო მინსკელ ნ. ზვერევას — 4:6, 6:3, 6:2. წყვილთა თანრიგის ფინალში გავიდნენ თბილისელი ლ. მესხი და ბიკოვა, რომლებმაც ნახევარფინალში სძლიეს მედვედევასა და ზვერევას — 7:5, 6:1. ამ დასკვნით ეტაპზე მათი მეტოქეები იქნებიან ლ. სავჩენკო და მოსკოველი ს. პარხომენკო. ფინალური მატჩები გვიან საღამოს დამთავრდა.

ფეხბურთი. უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის გუშინ გამართული მესამე ტურის მატჩების შედეგები ასეთია: „ყაირათი“-ცსკა — 0:2, „ზენიტი“-მოსკოვის „დინამო“ — 0:1, „ფალგრირისი“-„დნეპრი“ — 0:0, მინსკის „დინამო“-„შახტიორი“ — 0:0, „მეტალისტი“-„გურია“ — 0:0.

წყალბურთი. გთავაზობთ საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის დასკვნითი ეტაპის მორიგი კალენდარული მატჩების შედეგებს: **ბაქო.** მოსკოვის „დინამო“-შავი ზღვის წითელდროშოვანი ფლოტის გუნდი (სევასტოპოლი)-13:6, მოსკოვის უნივერსიტეტი-კიევის „დინამო“ — 13:8, კასპის წითელდროშოვანი ფლოტილის გუნდი (ბაქო)-ხარკოვის „ლოკომოტივი“ — 8:7; **ლვოვში,** სადაც თბილისის „დინამო“ ასპარეზობს, ასეთი შედეგები აღინიშნა: ალმა-ათის „დინამო“-სამხეთრო-საზღვაო ფლოტის სპორტკლუბი — 9:5, მოსკოვის „მოსკვიჩი“-ლენინგრადის „ბალტიკა“ — 9:8, ლვოვის „დინამო“-თბილისის „დინამო“ — 13:12.

რედაქტორი
ბ. ბედინეიშვილი.

ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲘᲡ ᲤᲘᲜ

ᲐᲮᲐᲚᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲐᲗᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲐ

ᲘᲛ დღეს ბურჯანაძეებისას დიდი ზეიმი და სიხარული იყო. ოჯახის დედა, თინა ბურჯანაძე აღმასკომის სხდომიდან თვალებგაბრწყინებული დაბრუნდა და ქმარ-შვილს მიახარა: ის სადავო ოთახიდა დაგვიმტკიცეს და დაგვიკანონესო. ყველამ შვებით ამოისუნთქა, თავად დიასახლისი კი მაშინვე დატრიალდა და ვახშმის სამზადისს შეუდგა, პატარა წვეულება მინდა გავმართო, ახლობელ ნათესავებს დავუძახო, თავის დროზე ახალმოსახლეობა ჩამომწარდა, ახლა მაინც გავიხარო ჩემიანებშიო.

კაცმა რომ თქვას, დიდი აღსაფრთოვანებელი და სიხარულით გასაფრენი ბევრი არაფერი ჰქონდათ ბურჯანაძეებს: მიიღეს ის, რაც კანონით ეკუთვნოდათ და რაც ახლა კი არადა, თუ სადე სამართალია, ათი წლის წინათ უნდა მიეღოთ.

ახლა ვერც კი გაიხსენებენ, ვერ აღწერენ, რა ტანჯვა-წამების ფასად დაუჯდათ ეს დღე თინა და იაშა ბურჯანაძეებს. თუმცა მათზე უკეთ ვინ იცის, რამდენ ქარცეცხლში, რა ბრძოლების ორომტრიალშია გამოვლილი ეს სიხარული! ნუთუ კაცი იმას უნდა თვლიდეს სასიხარულოდ, რომ ათი წლის ბრძოლის შემდეგ მიიღოს ის, რაც კანონით იმთავითვე ეკუთვნოდა?!

თუმცა მოდი და ნუ გაგიხარდება! ხომ შეიძლებოდა ისე მოხდარიყო, რომ ის კუთვნილიც ვერ მიეღოთ.

შეიძლებოდა, ჰაი-ჰაი რომ შეიძლებოდა! და რა სამწუხაროა, რომ ასეთი შიშისა და ფიქრის საფუძველი ჯერ კიდევ არსებობს და სიცოცხლეს გვიმწარებს.

ᲐᲮᲐᲚᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲐᲗᲘ ᲬᲔᲚᲘ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲓᲐ

ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲐ ᲡᲘᲪᲠᲣᲩᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲧᲐᲚᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ?

საბუთად მარტო ეს ერთი მაგალითიც იკმარებდა.

ამ ათი წლის წინათ, 1976 წლამდე, თინა და იაშა ბურჯანაძეები თბილისის ცენტრში, ძერჟინსკის ქუჩაზე ცხოვრობდნენ მყუდრო ადგილას, ბინაც კარგი ჰქონდათ, ოთხ შვილს ზრდიდნენ. ოჯახი შეჩვეული და შესისხლხორცებული იყო ქალაქის ამ ძველ უბანს და ცხადია, არ ეთმობოდათ, უძნელდებოდათ აყრა და ადგილის გამოცვლა, მაგრამ გარემოება აიძულებდათ. რეკონსტრუქციის ზონაში აღმოჩნდა მათი საცხოვრებელი სახლი და მეტი რა გზა იყო, სხვა უბანში, სხვა სახლში უნდა გადაბარგებულიყვნენ.

ამ მტკივნეულ ოპერაციას შედარებით ადვილად გადაიტანდა კაცი, ახალი ბინით და ახალმოსახლეობით მაინც კმაყოფილი თუ დარჩებოდა. ბურჯანაძეებს საბურთალოში, საირმის ქუჩაზე ახალ სახლში დაპირდნენ ბინას და უკმაყოფილება არც გამოუთქვამთ. წესით სულზე 12 კვადრატული მეტრი ეკუთვნოდათ, მაგრამ იმ სახლში ისეთი ბინა არ იყო, რომელიც ექვსსულიან ოჯახს ფართობით სრულად დააკმაყოფილებდა. ამიტომ კალინინის რაიონული საბჭოს აღმასკომმა გადაწყვიტა, ორი მომიჯნავე სამოთახიანი და ერთოთახიანი ბინა მიეცათ ბურჯანაძეებისათვის. არაფერი ეთქმოდათ, მით უმეტეს, რომ აღმასკომი ბინების რეკონსტრუქციისა და გამთლიანების ნებართვასაც იძლეოდა.

მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა და ბინაში ჩასახლების დრო დადგა, მოულოდნელად მაშინდელმა აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ბურჯანაძეებს გამოუცხადა, ერთი ოთახი უნდა ჩამოგჭრათ და მარტოხელა გაჭირვებული ქალი შემოვასახლოთ თქვენს მეზობლადო.

ეს ამკარა უკანონობა იყო: ჯერ ერთი, ნორმით გათვალისწინებული ფართობი აკლდებოდათ ბურჯანაძეებს, მეორეც, ერთ იზოლირებულ ბინას ორ ოჯახს უნაწილებდნენ. ამიტომ თინა ბურჯანაძე კალინინის აღმასკომის მაშინდელ თავმჯდომარესთან შევიდა და პროტესტი განუცხადა. თავმჯდომარემ დაამშვიდა: ახლა ძალიან გვიჭირს, შედით მაგ ბინაში, ეს ქალი დროებით შემოგიასახლეთ, მალე სხვაგან მივიტეგნ ბინას და ეს ოთახი თქვენ დაგრჩებათო.

ენდნენ ხელმძღვანელის სიტყვას. დავისა და კამათის დრო და საშუალება არც იყო. ოთხი მეცრამეტწლოვანი ბავშვით (მათ შორის უმეროსი ძუძუთა ჰყავდათ) სად უნდა წასულიყვნენ? შევიდნენ ბინაში. მაგრამ თავმჯდომარის დაპირების მოიმედეობით ოთხი წელიწადი ორდერი არ აუღიათ, არც ბინის ქირას იხდიდნენ.

მაგრამ გამოხდა ხანი და დაპირებანი და იმედები საპნის ბუშტივით გაქრა: ჩამოჭრილი ოთახის დაბრუნება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებს ფიქრადაც არ მოსვლიათ. ის კი არა, იმ მარტოხელა ავადმყოფ ქალმა შეორეც ჩაიწერა ბინაში, შვილად აყვანილი ნათესავი ვოგონა.

ეს ჩაწერა და შვილად აყვანა კიდევ ცალკე ამბავია, ძირითად ამბავთან გადაწყნულ-გადახლართული და არანაკლებ გასაოცარი და აღმაშფოთებელი, რომელშიც სარკესავით ნათლად ჩანს, თუ როგორ შეიძლება დააკნინოს ადამიანი ანგარებამ და სიხარბემ.

იმ საცოდავ მარტოხელა ავადმყოფ ქალს, ბურჯანაძეების „ჩამონაჭერ“ ოთახში რომ შეასახლეს, ბოლო დროს თანდათან გაუმწვავდა ავადმყოფობა და საავადმყოფოს ხშირი სტუმარი გახდა. ეს რომ გაიგეს მისმა ახლო ნათესავებმა, მახარაძის რაიონის სოფელ შრომის მცხოვრებლებმა როინ ხალვაშმა და პატკუ ჩუბინიძემ, ვითომ პატრონად გამოუჩნდნენ, გადაწყვიტეს თავიანთი უფროსი ქალიშვილი, 5 წლის ქეთევან ხალვაში შვილად მიეცათ მისთვის. როდა, ამ ჩვენს ნათესავს დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია და მის ბინას მაინც დავინარჩუნებთო. მიდგნენ-მოდგნენ, შეაგროვეს საჭირო საბუთები, ყალბი და ნამდვილი, და მახარაძის რაიონული საბჭოს აღმასკომში შვილად აყვანა გაფორმეს. არადა, ამ საბრალო ქალს რა დედობა და პატრონობა უნდა გაეწია ნამვილები ბავშვისათვის, თვითონ იყო მოსაცალელი და საპატრონო. არ შეეძლო და არც არავის უთხოვია და დაუვალებია მისთვის ეს. გოგონა კვლავინდებურად თავის მშობლებთან იზრდებოდა სოფელში, თბილისში მხოლოდ ფორმალურად იყო ჩაწერილი მშვილებელ დედობილთან.

როგორც მისი კეთილი ნათესავები ვარაუდობდნენ, ქალი მართლაც მალე გარდაიცვალა, ბინაში კი მცირეწლოვანი ქეთევან ხალვაში დარჩა ჩაწერილი. გოგონას მშობლებმა, უფრო მტკიცედ და საფუძვლიანად რომ დაპატრონებოდნენ ბინას, ბავშვი თბილისში გადმოიყვანეს და მეუფლეც გაუჩინეს — თბილისელი მოქალაქე ლ. მურვანიძე.

ბურჯანაძეებმა მათი ბინის ჩამონაჭერ ოთახში მცხოვრები მეზობლის გარდაცვალება რომ შეიტყვეს, ცხადია, ოთახის შემოერთება და ბინის გამთელება მოინდომეს და ფიქრადაც არ მოსვლიათ, რომ კიდევ რაიმე დაბრკოლებას წააწყდებოდნენ. მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რომ ცდებოდნენ, თვით კანონის გადალახვა და გადათელვაც კი შეიძლება.

ძნელი სათქმელია ასეთი გზის მანათობელი სანთელი ეჭირათ თუ არა ხელში დებს, ოღლიო და ქეთევან ხვედაგურიძეებს, როდესაც ბინების გაფორმება და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში შესვლა გადაწყვიტეს. ის კი ნამდვილია, რომ ამ მიზნით მათ სხვადასხვა მაქინაციებს მიმართეს და კანონის კარიჩქეც ადვილად გადალახეს. 1984 წლამდე ერთი და, ქეთევან ხვედაგურიძე თავის ქმარ-შვილით (სამი სული) წერეთლის პროსპექტზე ცხოვრობდა ორ ოთახიან, 31 კვადრატულმეტრიან ბინაში, მეორე და, ოღლიო, მარტოხელა იყო და ერთოთახიანი იზოლირებული ბინა ეკავა ვაჟაფშაველას პროსპექტზე. ერთად გვინდა ვიცხოვროთო, გამოაცხადეს დებმა, დატრიალდნენ, მონახეს სასურველი ვარიანტი, გაცვალეს ბინები და ერთ ოჯახად დაბინავდნენ მშვიდობის პროსპექტზე. ამაზე ბუნებრივი და სასიამოვნო რაღა უნდა იყოს, როცა დებს ასე უყვართ ერთმანეთი და ერთად ყოფნას მიესწრაფვიან, მაგრამ ერთი რამ იყო საკვირველი. ამ გაცვლით დებმა მეტისმეტად იზარალეს: ორი სამოთახისაგან შედგარი იზოლირებული ბინა, რომელთა საერთო ფართობი 51 კვადრატული მეტრი იყო, გაცვალეს 31 კვადრატული მეტრი ფართობის ოროთახიან ბინაზე, როგორც ხედავთ ფართობი გაცილებით ნაკლებია, არც ადგილია უკეთესი. მაშ რატომ, რისთვის გაიუარესეს დებმა საბინაო მდგომარეობა, ნუთუ გაცვლის უკეთესი ვარსია და არჩევანი ვერ იპოვეს?

არა, სხვა არჩევანი არც უძებნიათ, სწორედ ასეთი აძლევდათ ხელს: საბინაო პირობები საგანგებოდ, მიზანდასახულად გაიუარესეს, რომ ამით საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში შესვლის საშუალება მისცემოდათ და საბურთალოს რაიონული საბჭოს აღმასკომის ხელშეწყობით კიდევაც მიაღწიეს მიზანს: 1986 წლის 5 ნოემბრის გადაწყვეტილებით ოღლა ხვედაგურიძე აღმასკომმა აღრიცხვაზე აიყვანა.

ასეთ ამბავს, რომ გაიგებ, უნებურად აზრი გებადება, თითქოს პატიოსნება ტვირთი იყოს, ბორკილი იყოს, რომელიც ხელს გიშლის ცხოვრებაში გზა გაიკვლიო.

როგორც კი ეს ტვირთი მოიშორეს დედა-შვილმა, ქსენია და ციური ჭიკაიძეებმა, მაშინვე გადალახეს ყველა დაბრკოლება და საბურთალოს რაიონული საბჭოს აღმასკომმა ისინი კოოპერატიული ბინათმშენებლობის აღრიცხვაზე აიყვანა. ამ მიზნის მისაღწევად ისინი საკუთარი ოჯახის სახელის გატეხვასაც კი არ მოერიდნენ: აღმასკომს განცხადებით მიმართეს, ვჭამთ ერთმანეთს, ჩვენი ერთ ბინაში ცხოვრება არ შეიძლებაო. 1986 წლის 18 მარტს დედა-შვილის დამოკიდებულების საკითხი საკონფლიქტო კომისიამ განიხილა და კონფლიქტური სიტუაციის გამნმუტვის მიზნით წინადადებით შევიდა აღმასკომში ნება დაერთო დედისათვის ცალკე აეშენებინა კოოპერატიული ბინა. საბურთალოს რაიონული საბჭოს აღმასკომმა დაკმაყოფილა კომისიის წინადადება და ქსენია კონსტანტინეს ასული ჭიკაიძე კოოპერატიული ბინის აღრიცხვაზე აიყვანა... თავის ქალიშვილთან ერთად, როგორ გავიგოთ ეს, ვითომ ახალ ბინაში არ დაჭამენ დედა-შვილი ერთმანეთს?!

რაღაც გვინდა ისეთი ბინა და კეთილდღეობა, რომელსაც ღირსებას შევწირავთ და გადავაყოლებთ!

ამ კეთილდღეობისა და თბილი ცხოვრების მოწყობისათვის რას არ კადრულობენ ეს, ეგრეთ წოდებული, მოხერხებული, ენერგიული ადამიანები. მათ შორის, არც თუ იშვიათად, გვხვდებიან კომუნისტებიც, რომლებიც პარტიის რიგებს სწორედ ამ კეთილდღეობისათვის არიან შეფარებული.

ამასწინანდა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს განიხილა საბურთალოს რაიონული საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილებაში კადრების შერჩევისას ოჯახური და ნათესაობიური დამოკიდებულების ფაქტები. გამოირკვა, რომ აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგემ ლ. ვეფხვაძემ პარტიის რაიკომს, აგრეთვე აღმასკომის ხელმძღვანელობას დაუმალა დ. ლაზარაშვილთან ახლო ნათესაობა და თავის განყოფილებაში ჯერ უფროს ეკონომისტად დაანიშვნინა, შემდეგ კი თავის მოადგილედ. ასეთ ოჯახურ-ნათესაურ მფარველობას და პატრონობას ი. ვეფხვაძე დ. ლაზარაშვილს სხვა დროსაც უწევდა. მისი რეკომენდაციით მიიღეს იგი სკკპ წევრობის კანდიდატად, შემდეგ კი წევრადაც.

ი. ვეფხვაძე და დ. ლაზარაშვილი არ თაკილობდნენ არც ტყუილსა და სიცრუეს, არც ყალბისქმნელობას, ოღონდ კი დასახული მიზნისათვის მიეღწიათ და ისე მოეწყოთ ცხოვრება, როგორც მათ სურდათ.

თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიურომ ი. ვეფხვაძე და დ. ლაზარაშვილი გარიცხა სკკპ რიგებიდან, ისინი მოხსნილი არიან დაკავებული თანამდებობიდან.

კადრების შერჩევისადმი ხელისშეშვებისა და გულგრილობისათვის საყვედური გამოუცხადეს საბურთალოს რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს დ. ჯაფარიძეს.

ყველაფერი, ყოველი ჩვენი ნაბიჯი და ღონისძიება უწინარეს ყოვლისა საერთო საზოგადოებრივ ინტერესებს უნდა ექვემდებარებოდეს და არა კერძოს და პიროდულს, უამისოდ ვერ შევასრულებთ გარდაქმნისა და წინსვლის იმ გრანდიოზულ ამოცანებს, ცხოვრება რომ გვისახავს.

მ. გორდაძე.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲤᲝᲢᲝᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘ

ᲒᲐᲑᲔᲓᲣᲚᲘ ᲜᲐᲮᲢᲝᲛᲘ.

ზ. ᲓᲐᲕᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲡᲢᲘᲥᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ

ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘ: ᲜᲝᲛᲔᲠ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲖᲐᲓᲧᲝᲤᲜᲐ

ᲐᲪᲘᲕᲔᲑᲐᲛ ამბროლაურის რაიონში შეაჩერა მეწყერი, რომელიც რამდენიმე სოფელს ემუქრებოდა. მაგრამ ახალი უბედურება შეიძლებოდა მოეტანა სოფელ კვაცხუთის ახლოს რამდენიმე დღის გამავლობაში პერიოდულ ქვათაცვენას. საბედნიეროდ, ამას მსხვერპლი და არსებითი ზარალი არ მოჰყოლია. დაზიანდა მხოლოდ ვენახების მცირე ნაწილი, თორმეტი ოჯახი კი, რომლებიც ოპერატიულად გაიყვანეს უსაფრთხო ადგილას, სპეციალისტთა ნებართვით უკვე დაბრუნდა სახლებში.

სოფელ ჩორჯოში სახლები გარეგნულად დაუზიანებელია, მაგრამ ცარიელია. გზასა და სოფლის ქვედა ნაწილზე გადმოკიდებული მთის ფერდობები ყოველ წუთს შეიძლება ქვლავ დაცურდნენ რაონისაკენ. ამიტომაც დაცარიელდა სოფელი.

ადგილობრივი რაიონული აგრონამრეწველო გაერთიანების მეცხოველეობის განყოფილების გამგის მერაბ ყიფიანის სახლზე დაცემაში სოფელ ჩორჯოში ჩამოწოლილი ორი მეწყერიდან ერთეთს ხელი შეუშალა... გზის გასწვრივ დადებულმა თოვლმა. წაწყდა რა სამმეტრიანი დატკეპნილი, გაყინული თოვლის მონოლითს, მიწის, თოვლისა და ქვის მასა მეზობელ სახლებს დაეცა. ერთერთის ადგილას ახლა მხოლოდ ხის ნამტვრევების გროვაა. კიდევ ერთისაგან ნახევარიღა დარჩა. ამ სახლებში მცხოვრებმა 22 კაცმა თავი მერაბის სახლს შეაფარა.

— ვშიშობდით, რომ თოვლს ღობე ვერ გაუძლებდა და მეწყერი ჩვენც დაგვატყდებოდა თავს, —იხსენებს იგი ახლა. — გამთენიისას კედლებზე ბზარები გაჩნდა, ყველა ეზოში გამოცვივდა, წვიმაში. მაგრამ სად წახვალ? გარშემო თოვლის, მიწისა და ქვის მასაა. მართალი გითხრათ, შოკში ვიყავით ჩავარდნილი. ამ მდგომარეობიდან გამოგვიყვანა ხე-ტყის მრეწველობის. მეურნეობის დირექტორმა ყიული ჭობონელიძემ: მან შემოგვთავაზა შეგვექმნა ცოცხალი ჯაჭვი ფერდობის აყოლებით გზამდე და ისე გადაგვეცა ბავშვები ერთმანეთისათვის. ასეც მოვიქეცით, მკერდამდე ცივ ლაფში ვიდექით, ფეხქვეშ დანგრეულ ნაგებობათა ფიცრები დაგყარეთ. ჩამონაქცევს იქით ბავშვები მოსაშველებლად მოსულმა მეზობლებმა აიყვანეს. მერე კი ტექნიკამაც მოგვისწრო...

ახლა ყიფიანების ოჯახი, ისე როგორც ჩორჯოს, აგრეთვე სოფლების პირველი და მეორე ტოლის ორმოცზე მეტი ოჯახი, რომლებსაც აგრეთვე მეწყერმა შეუტია, რაიონულ ცენტრში, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს. მათ გამოუყვეს ნაგებები და სახსრები. უსაფრთხო ზონაში სახლების მშენებლობისათვის. სახიფათო ზონიდან გამოიყვანეს და ნათესავებთან ადმინისტრაციულ შენობებში დაბინავეს სოფელ ბალეულის, ნაწილობრივ — სოფლების ჭრებალოს, ტოლისა და სადმელის მცხოვრებნიც.

ხვანჭკარის საბჭოთა მეურნეობაში კი მეწყერმა დააზიანა სამოცდაშვიდ რვა ჰექტარი ვენახი. თოვლი დადნა, მიწა გაშრა და ადამიანები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა არ დაიკარგოს უნიკალური ჯიშის ვაზი. სულ კი რაიონში დაიღუპა 25 ჰექტარი ვენახი და 150 ჰექტარი სათესი ფართობი.

მაგრამ სტიქიამ რაიონს მარტო მეწყერი კი არა, თოვლიც დაატეხა თავს.

— თებერვლის წყალდიდობა ჩვენთვის გაკვეთილი იყო, — თქვა წყალტუბოს მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამმართველოს რაჭის ჰიდრომტექნიკური უბნის უფროსმა დავით გურგენიძემ. — ვაღრმავებთ ფსკერს, ვწმენდთ კალაპოტს, ვამაღლებთ ჯებირებს ნაპირების გასწვრივ, რათა უფრო სწრაფად გავუშვათ ნაკადი არა მარტო ამ მდინარეში, არამედ კრიხულაშიც, რომელიც მას უერთდება.

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲓᲘᲓᲝᲑᲐ:

ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲘᲒᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲑᲖᲔ?

ᲕᲐᲠᲪᲘᲡ მეორე დეკადაში რესპუბლიკის ტერიტორიაზე ძალიან გაჭირვეულდა ამინდი. წვიმა და თოვლი, მტკვრის ხეობაში 19 მარტს ღამით ამოვარდნილი წამში 25-29 მეტრამდე სიძლიერის ქარი გამოიწვია ცივი ჰაერის მასებმა, ზურგიდან რომ დაუარეს მორიგ ციკლონს, რომელმაც დასავლეთიდან აღმოსავლეთით — ხმელთაშუა ზღვიდან გადაუარა ამიერკავკასიის ტერიტორიას.

— სწორედ ამ გარემოებებით არის გამოწვეული, კერძოდ, 19 მარტს დასავლეთ საქართველოში მოსული დიდი წვიმა, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს ჰიდრომეტცენტრის უფროსმა ნიკოლოზ ბერაძემ. — მაგალითად, ზუგდიდსა და გალში დღე-ღამეში თვიური ნორმის ნახევარი ნალექი მოვიდა. კოკისპირულად იწვიმა სოხუმის, ოჩამჩირის, ქობულეთისა და ბათუმის რაიონებში.

ამ დღეს მკვეთრად დაეცა ჰაერის ტემპერატურა რესპუბლიკის ბარში — პლუს 1-5 გრადუსამდე, სუბტროპიკულ რაიონებში ერთიდან სამ გრადუსამდე ყინვაც კი აღინიშნა. საბედნიეროდ, ავდარს გავლენა არ მოუხდენია მცენარეთა ნორმალურ განვითარებაზე.

უახლოეს დღეებში, როგორც მიმდინარე აეროსინოპტიკური პროცესების ანალიზმა გვიჩვენა, ამინდი საქართველოში გამოკეთდება. რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე მოსალოდნელია უბინრატესად მშრალი ამინდი. რამდენადმე მოიმატებს ჰაერის ტემპერატურა დღისითაც — 10-15 გრადუსამდე დასავლეთ საქართველოს ბარში, მაგრამ ღამით აქ მოსალოდნელია მისი დაწევა მინუს 2 პლუს 3 გრადუსამდე. აღმოსავლეთ საქართველოს ბარში კი დღისით თერმომეტრმა შეიძლება აჩვენოს 10 გრადუსამდე სითბო, სამაგიეროდ ღამით — 3 გრადუსამდე ყინვა.

მთაში კვლავ ზვავსაშიშროებაა. საქართველოს მდინარეთა წყლის დონის საგრძნობი მომატება უახლოეს დღეებში მოსალოდნელი არ არის.

მაგრამ, შექმნილ ჰიდრომეტეოროლოგიურ პირობებს თუ გავითვალისწინებთ, წლეულს იმ მდინარეებში, რომლებიც დიდი კავკასიონის მთებში იღებენ სათავეს, მოსალოდნელია ნორმაზე ერთნახევარ-ორჯერ მეტი წყალმეტობა. განსაკუთრებით ბევრი — ნორმაზე 5-6-ჯერ მეტი თოვლი დაგროვდა 20 მარტისათვის ენგურის, ცხენისწყლის, რიონის, არაგვისა და ივრის აუზებში.

გაზაფხულის წყალდიდობა წლეულს ჩვეულებრივზე რამდენადმე მოგვიანებით დაიწყება. განსაკუთრებით დიდი იქნება იგი ენგურზე, ცხენისწყალზე, რიონზე, არაგვსა და იორზე. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ამ მდინარეებზე უთუოდ კატასტროფული წყალდიდობა მოხდება. ოღონდ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ბუნებას, სამწუხაროდ, უსიამოსიურპრიზებიც სჩვევია. ასე რომ, ყველანი მზად უნდა ვიყოთ სტიქიის ყოველგვარი შესაძლო „შემოტეხვის“ მოსაგერიებლად.

ნაკლებად უნდა ავყვეთ ათასნაირ ჭორებსაც. სახელდობრ იმაზე, თითქოს მტკვარსა და რესპუბლიკის სხვა მდინარეებზე რაღაც ზებუნებრივი წყალდიდობა იყოს მოსალოდნელი. ასეთი რამ შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ აპრილში დიდხანს დაიჭერს ისეთ ცხელ ამინდს, როგორიც ზაფხულს ყველაზე მცხუნვარე თვეს — ივლისს ახასიათებს. შეიძლება თუ არა ასე მოხდეს? — საეჭვოა. ამიტომ უფრო მეტად უნდა ვენდოთ ჰიდრომეტეოროლოგების